ლადო გრძელიშვილი •

2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნები

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების მნიშვნელობის განსაზღვრა და არსებულ შედეგებზე დაყრდნობით, ფუნდამენტური დასკვნების გამოტანა. 2024 წლის 6-დან 9 ივნისამდე ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს, ევროპარლამენტის რიგით მეათე არჩევნები ჩატარდა, რომელშიც ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებმა მიიღეს მონაწილეობა და ჯამში, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებიდან 720 ევროპარლამენტარი აირჩიეს. აღნიშნული საკითხის აქტუალურობას თანამედროვე ევროკავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა ტიპის გამოწვევები განსაზღვრავს, რომლებსაც ერთად აღებულს, პოტენციალი აქვთ რომ ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურას სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნან. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის მასშტაბით ულტრა-მემარჯვენე, ნაციონალისტური და მათ შორის, ევროსკეპტიკური პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა საგრძნობლადაა გაზრდილი, რაც შესაბამისად, ეჭვქვეშ ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს აყენებს, როგორიცაა ევროკავშირის აღმოსავლეთით, მათ შორის საქართველოსკენ გაფართოება, რუსეთ-უკრაინის ომის ბედი, ევროკავშირის საიმიგრაციო კრიზისის მშვიდობიანი მოგვარება, ევროზონის მზაობა მორიგი მძლავრი ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ და მრავალი სხვა. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ ერთი მხრივ, ევროკავშირი რა გამოწვევების წინაშე

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

დგას და მეორე მხრივ, როგორაა შესაძლებელი მათი მოგვარება. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო და ანალიტიკური სტატიების კუთხით, ჯერჯერობით ინფორმაცია მხოლოდ 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგების და არა მისი სიღრმისეული ანალიზის შესახებ ვრცელდება, რაც თავის მხრივ, პრობლემას წარმოადგენს, მოცემული ნაშრომის დახმარებით შევეცდებით როგორც 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგების განსაზღვრას, ისე მასზე დაყრდნობით, დასკვნების გამოტანას. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებული მიგნებები პასუხს სცემს კითხვას, თუ 2024 წლის ევროპარლამენტში რომელ საკითხებს მიენიჭება უპირატესობა და პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით, ევროპარლამენტში რომელი ჯგუფების ავტორიტეტი იქნება გადამწყვეტი.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ევროპარლამენტი, არჩევნები, ევროსკეპტიციზმი.

შესავალი

თავდაპირველად, მიზანშეწონილია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, თუ რის გამოა 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნები მნიშვნელოვანი? ამ მიზნით, პირველ რიგში, საჭიროა შევისწავლოთ ის, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ევროკავშირი დღეს. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის უსაფრთხოების გამოწვევებს, ერთად აღებულს, აქვთ პოტენციალი, რომ ევროპული წესრიგის არქიტექტურა უზარმაზარი საფრთხის ქვეშ დააყენონ. კერძოდ, რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ გამოავლინა, რომ ევროპის უსაფრთხოებას სრული რეორგანიზაცია სჭირდება. შესაბამისად, სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროკავშირმა ხელშესახები ცვლილებები უნდა განახორციელოს. გარდა აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა იმაზე მეტ ძალისხმევას მო-

ითხოვს, ვიდრე ევროპარლამენტში არსებულ ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოუდგენია. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი გამოწვევა, რომელიც 2009, 2014 და 2019 წლების ევროპარლამენტის წინაშე იდგა, დღესაც არაა ადეკვატურად მოგვარებული. მაგალითად, ევროზონა არ არის მზად იმისთვის, რომ მძლავრ ეკონომიკურ კრიზისებს გაუმკლავდეს. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის მასშტაბით საიმიგრაციო კრიზისები მძვინვარებს, დაუსრულებელი რჩება ევროპული და არამარტო ევროპული ბაზრების გაერთიანების მექანიზმი და სხვა. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივები, განსაკუთრებით დასავლეთ ბალკანეთისკენ, მოლდოვისკენ, უკრაინისკენ და რა თქმა უნდა, საქართველოსკენ, რასაც ევროპარლამენტში არსებული ევროსკეპტიკური ჯგუფები სხვა მიზეზებთან ერთად ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამონგრევის მოტივით ეწინააღმდეგებიან. ფაქტია, რომ ევროკავშირი აღნიშნული პრობლემების მოგვარებას ცდილობს, თუმცა საყურადღებოა, რომ 2024 ევროპარლამენტის არჩევნებში სწორედ ულტრა-მემარჯვენე, ნაციონალისტური, პოპულისტური და ევროსკეპტიკური პოლიტიკური პარტიების გაძლიერება შეინიშნება. გარდა სხვა მიზეზებისა, სწორედ ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი ამ წლის ევროპარლამენტის არჩევნები, რადგან საკითხის დაყენება ამგვარადაა შესაძლებელი - გაფართოვდება თუ არა ევროკავშირი? თუ დავაკვირდებით, აღნიშნული საკითხის აქტუალურობას კიდევ უფრო ამძაფრებს შემდეგი კითხვა: იმ შემთხვევაში, თუ ევროპარლამენტში არსებული ულტრა-მემარჯვენე, ნაციონალისტური, ევროსკეპტიკური და კონსერვატიული ჯგუფები, თავის მხრივ - ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები (ECR) და იდენტობა და დემოკრატია (ID) გაერთიანდებიან და მემარჯვენე-ცენტრისტული ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ჯგუფის შემდეგ რიგით მეორე ძალად

ჩამოყალიბდებიან, როგორი იქნება თავად ევროკავშირის მომავალი და მისი გაფართოების პერსპექტივები? სწორედ ამგვარი ფუნდამენტური საკითხები წყდება წლევანდელი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებით.[1]

2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები

2024 წლის 6-დან 9-ივნისამდე ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს, ევროპარლამენტის არჩევნები ჩატარდა, რომელიც 1979 წლის პირველი, პირდაპირი არჩევნების შემდეგ რიგით მეათე, ხოლო "Brexit"-ის შემდეგ პირველ საპარლამენტო არჩევნებს წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წელს ევროპელმა მოქალაქეებმა 705-ის ნაცვლად 720 ევროპარლამენტარი აირჩიეს. საინტერესოა, 1979 წლიდან მოყოლებული როგორია ევროპარლამენტის არჩევნებში ამომრჩევლის აქტივობა, რადგან წლების განმავლობაში დაღმავალი ტენდეცია შეინიშნება. მაგალითად, 1979 წლის პირველი ევროპარლამენტის არჩევნებში ამომრჩეველთა 62%-მა მისცა ხმა, ხოლო 2024 წელს 51.07%-მა, რაც წინა ევროპარლამენტის არჩევნების აქტივობაზე (50.66%) მცირედით მეტია, თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ევროპარლამენტის პირველ არჩევნებში ევროპის მხოლოდ 9 ქვეყნის მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას, ხოლო დღეისთვის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების რაოდენობა 27-ს შეადგენს. საინტერესოა, ევროპარლამენტის არჩევნებში ქვეყნების მიხედვით მოსახლეობას მაქსიმუმ რამდენი ევროპარლამენტარის არჩევა შეუძლია. ამ შემთხვევაში, ევროპარლამენტში ადგილების განაწილება ხდება როგორც წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობის, ისე

[1] Zebel, M. (2024, April 30). Why the 2024 European Elections are the most Important Ever. Bertelsmann Stifung. https://globaleurope.eu/europes-future/why-the-2024-european-elections-are-the-most-important-ever/

შედარებით მცირე ქვეყნების ევროპელი მოქალაქეების წარმომადგენლობის მინიმალური დონის მიხედვით. მაგალითად, გერმანიას - 96, საფრანგეთს - 81, იტალიას - 76, ესპანეთს - 61, პოლონეთს - 53, ხოლო კვიპროსს, ლუქსემბურგსა და მალტას მხოლოდ 6 ევროპარლამენტარის არჩევა შეუძლიათ.

გერმანია

9 ივნისს გერმანიაში ჩატარებულმა ევროპარლამენტის არჩევნებმა საინტერესო შედეგები აჩვენა. გერმანიის მმართველმა კოალიციამ გამანადგურებელი დარტყმა განიცადა, როდესაც კანცლერ ოლაფ შოლცის სოციალ-დემოკრატებმა ხმათა მხოლოდ 13.90% მოაგროვეს, მხოლოდ 2%-ით აჯობეს მწვანეებს და გერმანიის ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკურ პარტიასთან „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (15.90%) დამარცხდნენ. გერმანიაში ჩატარებული ევროპარლამენტის არჩევნებში დამაჯარებელი გამარჯვება ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა მოიპოვა და ევროპარლამენტში 30 დეპუტატის შეყვანა შეძლო. გერმანიაში ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პირველ ადგილზე გასვლა მაინც და მაინც, გასაკვირი არ ყოფილა, ხოლო ულტრა-მემარჯვენე პარტიის, „ალტერნატივა გერმანიისთვის“ სტატისტიკა 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნებთან შედარებით 5%-ით გაიზარდა, რაც ნიშნავს იმას, რომ გერმანიაში ევროსკეპტიკური და ანტი-საიმიგრაციო განწყობები საკმაოდ გაზრდილია. აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატების მარცხი მხოლოდ ამით არ დასრულებულა და მოგვიანებით „ალტერნატივა გერმანიის“ ლიდერებმა მოითხოვეს, რომ შოლცს ახალი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა, როგორც ეს საფრანგეთის პრეზიდენტმა გააკეთა. საპასუხოდ, შოლცის სპიკერმა განაცხადა, რომ იგი გერმანიაში ვადამ-

დელი არჩევნების ჩატარებას გამორიცხავდა.[2] საინტერესოა, რომ გერმანიის კანცლერი მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტში არაპოპულარობით სარგებლობს, რაც თავის მხრივ, რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. პირველ რიგში, მნიშვნელოვანი ფაქტორია თავად შოლცის კომუნიკაციის სტილი, რადგან პოლიტიკურ წრეებში იგი ძირითადად ხასიათდება, როგორც თავშეკავებული და ტექნოკრატიული პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელთა ნაწილი აფასებს მის სტაბილურ და ფრთხილ მიდგომებს, სხვები მასში ქარიზმის ნაკლებობას ხედავენ, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს ამომრჩევლებთან კომუნიკაციის უნარზე. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიაში 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი ისტორიული კონტექსტიც იყო. ოლაფ შოლცს ანგელა მერკელის შეცვლა მოუწია, რომელმაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გერმანიაში ძლიერი მემკვიდრეობა დატოვა. ასეთი პოპულარული ფიგურის შეცვლამ შესაძლოა დაამყაროს მოლოდინები, რომელთა დაკმაყოფილებაც რთულია. გარდა ამისა, დღის წესრიგში გეოპოლიტიკური გამოწვევები დგას, კერძოდ, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შექმნა. შოლცის მიერ გერმანიის პასუხის გატარება, მათ შორის მისი პოზიცია უკრაინის სამხედრო მხარდაჭერისა და რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულების შესახებ, საკამათო საკითხია, რადგან გერმანელი ამომრჩევლის ნაწილი მის ქმედებებს ზედმეტად არათანმიმდევრულად მიიჩნევს. შესაბა-

[2] Maslin Nir, S. & Schuetze, C. (2024, June 11). In Germany, Far-Right Party Rises to 2nd Place in E.U. Election. The New York Times. https://www.nytimes.com/2024/06/10/world/europe/germany-afd-eu-election.html

მისად, გერმანიის სხვადასხვა დემოგრაფიულ და პოლიტიკურ ჯგუფებში შოლცის მხარდაჭერა საკმაოდ შერყეულია.[3]

საფრანგეთი

საფრანგეთში პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისა და ლიბერალური "Renaissance"-სთვის (14.60%) მოვლენები დრამატულად განვითარდა, რადგან ხმათა 31.37% მარინ ლე პენის ულტრა-მემარჯვენე, ნაციონალისტურმა და ევროსკეპტიკურმა ეროვნულმა გაერთიანებამ მოიპოვა და პირველი ადგილი დაიკავა. 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნებთან შედარებით წელს "Renaissance"-მ ევროპარლამენტში მხოლოდ 13 დეპუტატის შეყვანა შეძლო, ხოლო ეროვნული გაერთიანება 30 დეპუტატს დასჯერდა, რომლებიც თავის მხრივ, ევროპარლამენტში ულტრა-მემარჯვენე, ნაციონალისტურ, ევროსკეპტიკურ პოლიტიკურ ოჯახში, იდენტობა და დემოკრატიაში (ID) იქნებიან წარმოდგენილნი. აქამდე, ევროპარლამენტის ლიბერალური ჯგუფის, ევროპული განახლების (Renew Europe) აღიარებული ლიდერი სწორედ პარტია "Renaissance" და ემანუელ მაკრონი იყო, რაც 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგების შემდეგ საეჭვო ხდება. მაკრონისა და მისი პარტიის დამარცხება მხოლოდ ამით არ დასრულებულა და მან იმის დემონსტრირებით, რომ პარტიას ისევ ჰყავს უამრავი მხარდამჭერი, 30 ივნისს საფრანგეთში ახალი საკანონმდებლო არჩევნები დანიშნა. საინტერესოა, საფრანგეთში ეროვნული გაერთიანების ასეთი პოპულარობა რითია განპირობებული? უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის მოსახლეობის ნაწილი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით საკმაოდ უკმაყო-

[3] Tennant, C. (2023, October 3). Halfway through his term, Olaf Scholz has a popularity problem. The far-right is benefitting. Euronews. https://www.euronews.com/my-europe/2023/10/03/halfway-through-his-term-olaf-scholz-has-a-popularity-problem-the-far-right-is-benefitting

ფილოა, რაც უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით, ხელფასების სტაგნაციითა და ეკონომიკური უთანასწორობით გამოიხატება. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, ეროვნული გაერთიანება საფრანგეთის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მათ სამუშაო ადგილებს მზარდი გლობალიზაციისგან და იმიგრაციისგან დაიცავდა. შესაბამისად, პარტია მხარს უჭერს საიმიგრაციო კონტროლის გამკაცრებას და შესაბამისი ზომების მიღებას ფრანგული კულტურული იდენტობის დასაცავად, რაც ფრანგი მოსახლეობის უდიდეს ნაწილში პოპულარობით სარგებლობს. დამატებით, მარინ ლე პენის პარტია ხაზს უსვამს ეროვნული იდენტობისა და სუვერენიტეტის მნიშვნელობას და მხარს უჭერს პოლიტიკას, რომელიც საფრანგეთის დამოუკიდებლობას გარე გავლენისგან, მათ შორის ევროკავშირისგან დაიცავს. ამგვარი გზავნილები მიემართება ამომრჩეველს, რომელიც გლობალიზაციასა და ზენაციონალურ ორგანიზაციებს სკეპტიკურად უყურებს. როგორც ჩანს, აღნიშნული საკითხები ფრანგი ამომრჩევლის ნაწილისთვის საკმაოდ მგრძნობიარეა.[4]

იტალია

საფრანგეთისა და გერმანიის მსგავსად, იტალიაში ევროპარლამენტის არჩევნები საინტერესო შედეგებით დასრულდა. ხმათა 28.76%-ით არჩევნებში იტალიის პრემიერ-მინისტრის, ჯორჯია მელონის მემარჯვენე-პოპულისტურმა პარტიამ, „იტალიის ძმებმა" გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ პარტია ევროპარლამენტში არსებული კონსერვატიული ჯგუფის, ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების (ECR) ჯგუფის ერთ-ერთი

[4] Vinocur, N. (2024, February 12). How Le Pen Turned Respectable (and why you shouldn't be fooled). POLITICO. https://www.politico.eu/article/marine-le-pen-turned-respectable-france-presidential-election/

ლიდერია. შესაბამისად, მელონის პარტიამ ჯგუფში თავისი ლიდერობა დამაჯერებელი მოგებით შეინარჩუნა და ევროპარლამენტში 24 ევროპარლამენტარის მანდატი მოიპოვა, რაც 2019 წელთან შედარებით +18 ევროპარლამენტარს ნიშნავს. იტალიაში ჯორჯია მელონის პოპულარობა, რომელიც ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. პირველ რიგში, მელონის პარტია, „იტალიის ძმები“ ხელს უწყობს ძლიერი ნაციონალისტური და კონსერვატიული დღის წესრიგის განვითარებას. ის ეხმიანება იტალიელი ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ტრადიციული პოლიტიკური ელიტებით იმედგაცრუებულია და შეშფოთებულია ისეთი საკითხებით, როგორიცაა იმიგრაცია, ეროვნული სუვერენიტეტი, კულტურული იდენტობა და სხვა. არანაკლები მნიშვნელობა თავად მელონის ლიდერობის ხასიათს აქვს, რადგან მელონი ცნობილია თავისი ქარიზმატული და თავდაჯერებული ლიდერობის სტილით, რაც იტალიელი ამომრჩევლის დიდ ნაწილში საკმაო პოპულარობით სარგებლობს. დამატებით, ნიშანდობლივია, რომ მელონიმ მკაცრი პოზიცია დაიკავა იმიგრაციასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, იგი მხარს უჭერს საიმიგრაციო კონტროლის გამკაცრებას და ეროვნული უსაფრთხოების გამყარებას. მელონი ხშირად იმ ამომრჩეველს მიმართავს, რომელიც იმიგრაციის გავლენითაა შეშფოთებული, რაც თავის მხრივ, პრობლემებს უქმნის სამუშაო ადგილებს, საჯარო სერვისებსა და კულტურულ ერთიანობას. ევროკავშირის შიგნით მზარდი პოპულარობის მიუხედავად, მელონი კრიტიკულად აფასებს ევროკავშირს, განსაკუთრებით მის ეკონომიკურ პოლიტიკასა და ეროვნული სუვერენიტეტის დარღვევის მცდელობებს. შესაბამისად, იტალიის პრემიერ-მინისტრის რიტორიკა ევროსკეპტიკოს ამომრჩევლებს და ევროპარლამენტის შიგნით

მის გავრცელებას უწყობს ხელს, რაც თავის მხრივ, ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.[5]

2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების მნიშვნელობა

ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოდან, განსაკუთრებით მაღალი აქტივობა შეინიშნებოდა ბელგიაში (89.82%), ლუქსემ-ბურგში (82.29%), მალტაში (73.00%), გერმანიაში (64.78%), როცა საწინააღმდეგოდ, ამომრჩეველი პასიური იყო ხორვატიაში (21.35%), ლიეტუვაში (28.35%), სლოვაკეთში (34.38%), ლატვიაში (33.82%) და პორტუგალიაში (36.52%).

2019 წლის მსგავსად, ევროპარლამენტში მემარჯვენე-ცენ-ტრისტული ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი (EPP) ხმათა 26.3%-ით პირველ ადგილზე გავიდა, რაც ევროპარლამენტში +13 ანუ ჯამში 189 დეპუტატს ნიშნავს. ევროპარლამენტის არჩევნები ევროპის სახალხო პარტიის სასარგებლოდ წარიმართა გერმა-ნიაში, ესპანეთში, პოლონეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, ფი-ნეთში, ირლანდიაში, ხორვატიაში, ლიეტუვაში, სლოვენიაში, ესტონეთში, კვიპროსში და ლუქსემბურგში.

საინტერესოა, რომ ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფის შემდეგ მეორე ადგილი სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფმა (S&D) დაიკავა, რომელმაც ხმა-თა 18.9% მოიპოვა, რაც ევროპარლამენტში ჯამში 136 დეპუტატს გულისხმობს, - 3 დეპუტატს 2019 წლის ევროპარლამენტის არ-ჩევნებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ჯგუფის-თვის არჩევნები სასარგებლოდ წარიმართა პორტუგალიაში, შვედეთში და მალტაში.

[5] Giuffrida, A. (2023, September 21). The many faces of Giorgia Meloni. The Guardian. https://www.theguardian.com/world/2023/sep/21/many-faces-of-giorgia-meloni-year-in-power-italy-prime-minister

მესამე ადგილი 2024 წლის ევროპარლამენტში ევროპელმა კონსერვატორებმა და რეფორმისტებმა (ECR) დაიკავეს, რომლებმაც არჩევნებში ხმათა 11.5% მოიპოვეს, რაც ჯამში ევროპარლამენტში 83 დეპუტატს, ანუ 2019 წელთან შედარებით +14 დეპუტატს გულისხმობს, რაც თავის მხრივ, საკმაოდ კარგი შედეგია. ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტებისთვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა იტალიელებისა და ლატვიელების მხარდაჭერა.

2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნები ლიბერალური ჯგუფისთვის, ევროპული განახლებისთვის (Renew Europe) უიღბლო აღმოჩნდა. მან არჩევნებში ხმათა 11.3% მოიპოვა, რაც ჯამში ევროპარლამენტში 81, ანუ 2019 წელთან შედარებით -21 დეპუტატს გულისხმობს. ლიბერალურ ჯგუფს ამგვარი დარტყმა ძირითადად, საფრანგეთში განცდილმა მარცხმა მიაყენა, რადგან ევროპარლამენტში აღნიშნული ჯგუფის აღიარებული ლიდერი აქამდე, სწორედ ემანუელ მაკრონი და მისი პარტია “Renaissance” იყო. აღსანიშნავია, რომ ლიბერალებისთვის წარმატების მომტანი ჩეხეთი იყო, სადაც პარტია “ANO 2011” პირველ ადგილზე გავიდა, თუმცა შემდგომში მოვლენები დრამატულად განვითარდა და პარტიამ ლიბერალური ჯგუფი დატოვა. „ALDE”-ს (ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის) განცხადებით, ჩეხურმა პარტიამ აირჩია გზა, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებს შორდება. საინტერესოა ისიც, რომ სლოვაკეთში ლიბერალებმა პირველი ადგილი დაიკავეს და სლოვაკეთის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, რობერტ ფიცოს პარტია „SMER”-ი მცირედი, დაახლოებით 3%-ის სხვაობით დაამარცხეს. გარდა ამისა, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნები ესტონეთის პრემიერ-მინისტრისთვის, კაია კალასისთვისაც უიღბლო აღმოჩნდა, რადგან მისმა პარტიამ, „Estonian Reform Party”-მ ხმათა 17.9% მოაგროვა და მესამე ადგილს დასჯერდა.

2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგების მიხედვით, ლიბერალური ჯგუფის შემდეგ ხმათა 8.1% ულტრა-მემარჯვენე, ევროსკეპტიკურმა, იდენტობისა და დემოკრატიის ჯგუფმა (ID) მოიპოვა და ევროპარლამენტში რიგით მეხუთე ძალად ჩამოყალიბდა. აღნიშნული ხმები ევროპარლამენტში ამ ჯგუფისთვის ჯამში 58 დეპუტატს ნიშნავს. გარდა საფრანგეთისა, რომელშიც მარინ ლე პენის პარტიამ, ეროვნულმა გაერთიანებამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, ავსტრიაში თავისუფლების პარტიამ ხმათა 25.40% აიღო და პირველ ადგილზე გავიდა, რაც თავის მხრივ, ევროპარლამენტში 6 დეპუტატის შეყვანას გულისხმობს.

ლიბერალური ჯგუფის მსგავსად, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნები დრამატული იყო მწვანეებისთვისაც (Greens/European Free Alliance), რომლებმაც ხმათა მხოლოდ 7.1% მოაგროვეს, რაც 2019 წელთან შედარებით ევროპარლამენტში -20, ანუ 51 დეპუტატს გულისხმობს. აღნიშნული ჯგუფის წარუმატებლობა ძირითადად, იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ მათი ხმები მემარჯვენე, ულტრა-მემარჯვენე და კონსერვატიულმა ძალებმა მოიპოვეს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ევროპარლამენტის არჩევნები მწვანეებისთვის შედარებით დადებითად წარიმართა, ნიდერლანდები იყო, სადაც მათ ხმათა 21.09% მოიპოვეს.

2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნების მსგავსად, 2024 წლის არჩევნები მემარცხენე (The Left in the European Parliament) ჯგუფისთვის დიდი ცვლილებების მომტანი არ აღმოჩნდა, მათ ხმათა 5.4% მოაგროვეს, რაც შესაბამისად, 39 ევროპარლამენტარს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა ჯგუფმა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვერცერთ ქვეყანაში ვერ მოახერხა პირველი ადგილის მოპოვება, მას გარკვეული წარმატებები საბერძნეთში ჰქონდა, სადაც მემარცხენე პროგრესულმა ალიანსმა ხმათა 14.92% აიღო და მეორე ადგილი დაიკავა. სა-

ბერძნეთის მსგავსად ფინეთშიც ხმათა 17.30% მემარცხენე ალიანსმა მიიღო და მეორე ადგილს დასჯერდა.

ევროპარლამენტში არსებული 7 პოლიტიკური ჯგუფის გარდა, არსებობენ Non-Inscrits (NI) და Others, რომლებიც ევროპარლამენტის დეპუტატები არიან, მაგრამ აღნიშნულ ჯგუფებს არ მიეკუთვნებიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგების მიხედვით, ასეთმა დეპუტატებმა ხმათა 12.5% მიიღეს, რაც ევროპარლამენტში ჯამში 90 დეპუტატს (2019 წელთან შედარებით +28-ს) უდრის. გამოდის, რომ ევროპარლამენტში ასეთი დეპუტატები პოლიტიკურ ჯგუფს რომ წარმოადგენდნენ, რიგით მესამე (ევროპის სახალხო პარტიისა და სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის შემდეგ) ოჯახი იქნებოდნენ. გერმანიაში სწორედ ასეთმა ულტრამემარჯვენე პოლიტიკურმა პარტიამ, ალტერნატივა გერმანიისთვის (AfD) ხმათა 15.9%-ით მეორე ადგილი დაიკავა, რაც 15 ევროპარლამენტარს გულისხმობს. ალტერნატივა გერმანიისთვის აქამდე ევროპარლამენტში იდენტობა და დემოკრატიის (ID) წევრი იყო, მაგრამ არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე პარტია აღნიშნული ჯგუფიდან გააძევეს. საინტერესოა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც „AfD”-ის ლიდერმა კანდიდატმა არჩევნებში ერთ-ერთ იტალიურ გაზეთთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ნაცისტური გასამხედროებული „SS”-ის წევრები ყველა კრიმინალები არ იყვნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩეხეთში გამარჯვებულმა პარტიამ, „ANO 2011”-მა ევროპარლამენტში არსებული ლიბერალური ჯგუფი (Renew Europe) დატოვა, რაც გულისხმობს, რომ ლიბერალებს ევროპარლამენტში დამატებით -7 მანდატი მოაკლდათ. ამგვარი მოცემულობა მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. აუცილებელია განვიხილოთ უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის პარტიის, „ფიდესის“ მაგალითიც, რომელმაც ამ არჩევნებში ხმათა

44.82% მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნებთან შედარებით, „ფიდესმა“ ევროპარლამენტში -2 ადგილი დაკარგა და ჯამში 11 ევროპარლამენტარს დასჯერდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის მარტში ვიქტორ ორბანის პარტიას ევროპის სახალხო პარტიის (EPP) დატოვება მოუწია და ევროპარლამენტში პოლიტიკური ოჯახის გარეშე დარჩა, საინტერესოა, აღნიშნული 11 დეპუტატი მიიღებს თუ არა გადაწყვეტილებას რომ რომელიმე ჯგუფს შეუერთდეს.[6] ორბანის პოლიტიკური პარტიის ბედი სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრის, რობერტ ფიცოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც გაიზიარა, რომელსაც 2023 წლის ოქტომბერში ევროპის სოციალისტურმა პარტიამ (PES) წევრობა შეუჩერა, რადგან სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან მემარჯვენე-პოპულისტურ სლოვაკეთის ეროვნულ პარტიასთან მმართველი კოალიციის შექმნა “PES”-ის ღირებულებებს ეწინააღმდეგებოდა.[7] როგორც აღვნიშნეთ, ევროპარლამენტში პოლიტიკური ოჯახის გარეშე დარჩენილმა რობერტ ფიცოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმათა 24.76%-ით მეორე ადგილი დაიკავა, რაც მხოლოდ და მხოლოდ 5 ევროპარლამენტარს ნიშნავს.

მაინც, რას ნიშნავს 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები?

[6] Brzozowski, A. & Makszimov V. (2023, March 3). Orban’s Fidesz leaves EPP Group before kicked out. EURACTIV. https://www.euractiv.com/section/future-eu/news/orban-fidesz-leaves-epp-group-before-being-kicked-out/

[7] Jochecova, K. & Wax, E. & Barigazzi, J. (2023, October 12). European socialists suspend Robert Fico’s Smer Party and Its ally Hlas. POLITICO. https://www.politico.eu/article/european-socialists-suspent-robert-fico-smer-hlas-party/

• ევროპის სახალხო პარტიისა (EPP) და სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის (S&D) ჯგუფები ევროპარლამენტში კვლავ რიგით პირველ და მეორე ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ოჯახებად რჩებიან.

• ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური ჯგუფების ევროპარლამენტში არსებული ავტორიტეტი გულისხმობს, რომ 2024 წლის ევროპარლამენტში ევროკავშირისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ისეთ საკითხებს მიენიჭება, როგორიცაა ევროკავშირის აღმოსავლეთით, მათ შორის, მოლდოვისკენ, უკრაინისკენ და საქართველოსკენ გაფართოება, რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება, კლიმატის ცვლილება, სოციალური საკითხების, მათ შორის ჯანდაცვისა და უმუშევრობის მოწესრიგება, საიმიგრაციო კრიზისის გადალახვა, ევროპაში ევროსკეპტიკური, ულტრა-მემარჯვენე რიტორიკის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

• შედეგები აჩვენებს, რომ ევროკავშირის მასშტაბით, ლიბერალური და მწვანე ჯგუფები მხარდაჭერას კარგავენ, საწინააღმდეგოდ, კონსერვატიული, ნაციონალისტური, ევროსკეპტიკური და ულტრა-მემარჯვენე პარტიები მომძლავრებულნი არიან.

• 2024 წლის ევროპარლამენტში მნიშვნელოვანი Non-Inscrits-ებისა (NI) და Others-ების პოლიტიკური გადაწყვეტილებები იქნება, საინტერესოა ისინი ევროპარლამენტში არსებულ რომელ პოლიტიკურ ჯგუფებს შეუერთდებიან და ამგვარი მოქმედება რა ზეგავლენას მოახდენს სხვა პოლიტიკური ოჯახების ავტორიტეტზე.

დასკვნა

2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების უზარმაზარი მნიშვნელობა თანამედროვე ევროკავშირის წინაშე არსებული ისეთი გამოწვევების გამოა აქტუალური, როგორიცაა რუსეთის სრულმასშტაბიანი და გაუმართლებელი ომი უკრაინის წინააღ-

მდეგ, ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივები, განსაკუთრებით დასავლეთ ბალკანეთისკენ, მოლდოვისკენ, უკრაინისკენ და რა თქმა უნდა, საქართველოსკენ, ევროკავშირის გარშემო ულტრა-მემარჯვენე, ევროსკეპტიკური რიტორიკის გაძლიერება, კლიმატის ცვლილება, მძლავრი საიმიგრაციო კრიზისები და სხვა. თუ დავაკვირდებით, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, თუკი შემდეგ ფუნდამენტურ კითხვას დავსვამთ: იმ შემთხვევაში, თუ ევროპარლამენტში არსებული ულტრა-მემარჯვენე, ნაციონალისტური, ევროსკეპტიკური და კონსერვატიული ჯგუფები, თავის მხრივ - ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტები (ECR) და იდენტობა და დემოკრატია (ID) გაერთიანდებიან და მემარჯვენე-ცენტრისტული ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ჯგუფის შემდეგ რიგით მეორე ძალად ჩამოყალიბდებიან, როგორი იქნება თავად ევროკავშირის მომავალი და მისი გაფართოების პერსპექტივები? სწორედ ამგვარი ფუნდამენტური საკითხები წყდება წლევანდელი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. პირველი, ევროპარლამენტის შიგნით ევროპის სახალხო პარტიისა (EPP) და სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის (S&D) რიგით პირველ და მეორე ადგილზე გასვლა გულისხმობს, რომ 2024 წლის ევროპარლამენტში ევროკავშირისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ისეთ საკითხებს მიენიჭება, როგორიცაა ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება, რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება, სოციალური საკითხების, მათ შორის ჯანდაცვისა და უმუშევრობის მოწესრიგება, საიმიგრაციო კრიზისის გადალახვა, ევროპაში ევროსკეპტიკური, ულტრა-მემარჯვენე რიტორიკის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. მეორე, გარდა აღნიშნულისა, საინ-

ტერესოა რომ ევროკავშირის მასშტაბით, ლიბერალური და მწვანე ჯგუფები მხარდაჭერას კარგავენ, ხოლო კონსერვატიული, ევროსკეპტიკური და ულტრა-მემარჯვენე პარტიები მომძლავრებულნი არიან და მესამე, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ 2024 წლის ევროპარლამენტში მნიშვნელოვანი Non-Inscrits-ებისა და Other-ების პოლიტიკური მანევრები იქნება, საინტერესოა ისინი ევროპარლამენტში არსებულ რომელ პოლიტიკურ ჯგუფებს შეუერთდებიან და ამგვარი მოქმედება რა ზეგავლენას მოახდენს სხვა პოლიტიკური ოჯახების ავტორიტეტზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

Brzozowski, A. & Makszimov V. (2023). *Orban's Fidesz leaves EPP Group before being kicked out.* EURACTIV. https://www.euractiv.com/section/future-eu/news/orban-fidesz-leaves-epp-group-before-being-kicked-out/

Giuffrida, A. (2023). *The many faces of Giorgia Meloni.* The Guardian. https://www.theguardian.com/world/2023/sep/21/many-faces-of-giorgia-meloni-year-in-power-italy-prime-minister

Jochecova, K. & Wax, E. & Barigazzi, J. (2023). *European socialists suspend Robert Fico's Smer Party and Its ally Hlas.* POLITICO. https://www.politico.eu/article/european-socialists-suspent-robert-fico-smer-hlas-party/

Maslin Nir, S. & Schuetze, C. (2024). *In Germany, Far-Right Party Rises to 2nd Place in E.U. Election. The New York Times.* https://www.nytimes.com/2024/06/10/world/europe/germany-afd-eu-election.html

Tennant, C. (2023). *Halfway through his term, Olaf Scholz has a popularity problem. The far-right is benefitting.* Euronews. https://www.euronews.com/my-europe/2023/10/03/halfway-through-

his-term-olaf-scholz-has-a-popularity-problem-the-far-right-is-benefitting

Vinocur, N. (2024). *How Le Pen Turned Respectable (and why you shouldn't be fooled).* POLITICO. https://www.politico.eu/article/marine-le-pen-turned-respectable-france-presidential-election/

Zebel, M. (2024). *Why the 2024 European Elections are the most Important Ever.* Bertelsmann Stifung. https://globaleurope.eu/europes-future/why-the-2024-european-elections-are-the-most-important-ever/

Lado Grdzelishvili

2024 European Parliament elections

Abstract

This paper aims to determine the significance of the 2024 European Parliament elections and draw fundamental conclusions based on the current results. As we know, from June 6 to 9, 2024, the tenth regular elections of the European Parliament, the legislative body of the European Union, were held, in which the citizens of the 27 member states of the European Union participated and in total, 720 MEPs from different political groups were elected. The urgency of the mentioned issue is determined by the political, economic, military, and other challenges of the modern European Union, which, taken together, have the potential to create serious obstacles to the security architecture of the European Union. Significantly, the support of ultra-right, nationalist, and, among them, Eurosceptic political parties throughout the EU has increased substantially, which, accordingly, calls into question such fundamental issues as the enlargement of the EU to the east, including Georgia, the fate of the Russia-Ukraine war, the peaceful resolution of the EU immigration crisis, the readiness of

the Eurozone against another powerful economic crisis, and many others. It should be noted that based on the analysis of the results of the 2024 European Parliament elections, it is possible to determine, on the one hand, what challenges the European Union is facing and, on the other hand, how they can be solved. Nevertheless, in terms of scientific and analytical articles, so far the information is only about the results of the 2024 European Parliament elections and not its in-depth analysis, which in turn is an obstacle, therefore, with the aid of the mentioned work, we will endeavor to determine the results of the 2024 European Parliament elections, and based on it, draw fundamental conclusions. To conclude, it is crucial to state that the findings summarized in the final part of the paper answer the question of which issues will be given priority in the European Parliament in 2024 and in terms of political influence, which group's authority in the European Parliament will be decisive.

Keywords: European Union, European Parliament, elections, Euroscepticism.